

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი

29.12.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე); **ელიზარ ელიზარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე; **ირინე გოცირიძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი; **ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს მოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თევლე კაპანაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:



შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლია კარიჭაშვილი - ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ლელა თვარაძე - დაწესებულების იურისტი;

გიორგი ფერაძე - ასოცირებული პროფესორი;

ნინო მილაშვილი - პროფესორი;

დარეჯან გეგეშიძე - დაწესებულების კანცელარისა და არქივის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ჯემალ ძაგანია - რექტორი;

ვასილ ლიპარტელიანი - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

მანანა მნათობიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის:

ანზორ დიასამიძე - რექტორი ანზორ დიასამიძე;

გურამ ქათამაძე - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

რამაზ ქურდაძე;

ნანა ფრუიძე;

დავით სიხარულიძე;

მაკა გველესიანი;

შოთა კუნჭულია;

ქრისტინა რზგოვა;

გივი ციცქიშვილი;


ლაშა დიასამიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:10 საათზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:



- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის საზღვაოსნო მეცნიერებების - გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის საზღვაოსნო მეცნიერებების - საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა.



1. სააპელაციო საბჭოს შედეგების შესაბამისად შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახალი განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფილოლოგიის მაგისტრი, სპეციალობით - ქართული ლიტერატურის ისტორია
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები და მათ სხდომაზე არ ჰქონდათ რექტორის მინდობილობა. მათივე განმარტებით რექტორის მინდობილობა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მათ რამდენჯერმე ჰქონდათ უკვე წარმოდგენილი და წინა აკრედიტაციის წარმოებების მასალებში ინახებოდა მათზე გაცემული მინდობილობები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა იკითხეს, შეიძლებოდა თუ არა საბჭოს წევრს ლევან გორდეზიანს ჰქონოდა საკითხის განხილვასა და ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღების უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ ის წინა საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა განსახილველი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაში

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამართლებრივი არგუმენტაცია ლევან გორდეზიანის აცილებასთან დაკავშირებით, არ არსებობდა და მას თავისუფლად შეეძლო, როგორც, განხილვაში მონაწილეობა, ასევე, ხმის მიცემის პროცესშიც. ასევე, ირაკლი ბურდულმა სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტებს საბჭოსთვის დასკვნის არსებითი საკითხები წარმოედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ ისინი იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებას და სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებას ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის



საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტმა რამაზ ქურდაძემ იკითხა, რატომ დაისვა ლევან გორდეზიანის აცილების შესახებ საკითხი, მაშინ როდესაც ექსპერტებიც იგივე შემადგენლობით იყვნენ სხდომაზე და რატომ არ დაისვა ექსპერტთა აცილების საკითხი, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ აცილება შეეხებოდა მხოლოდ საბჭოს წევრს, რომელიც ხმას აძლევდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭება/არმინიჭების საკითხს და ვინაიდან ექსპერტს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდა, მასზე აცილება არ ვრცელდებოდა.

აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, მიუხედავად პროგრამაში არსებული რიგი ხარვეზებისა, მათ მისცეს პროგრამას დადებითი შეფასება, რადგან ამ კონკრეტულ დარგს მისცემოდა განვითარების შესაძლებლობა და საშუალება.

აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის კურიკულუმში, სადაც საუბარი იყო კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებზე ვკითხულობდით, რომ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებას...ბიბლიოთეკებსა და არქივებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, სტილისტ-რედაქტორის პოზიციაზე გამომცემლობებსა და მასმედის საშუალებებში. ექსპერტთა დასკვნით, პროგრამა არ იძლეოდა სათანადო კომპეტენციას ხსენებულ საქმიანობათა განსახორციელებლად და საჭირო იყო მას მითითებოდა, რომ აღნიშნულ უწყებებში კურსდამთავრებულს დამატებითი კვალიფიკაციის მიღებაც ესაჭიროებოდა. ამასთან ერთად, ექსპერტთა აზრით, სტილისტ-რედაქტორად მუშაობისთვის აუცილებელი იყო ბევრად უფრო სერიოზული კვალიფიკაცია, ვიდრე ერთი არჩევითი სტატუსის მქონე საგნის მოსმენა.

ასევე, ექსპერტების დასკვნით, განსახორციელებელი პროგრამების ფინანსურ გეგმაში ერთგვარად არარეალისტურად გამოიყურებოდა ჩასარიცხი კონტიგენტის რაოდენობა - 30 სტუდენტი. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სასურველი იყო ანალოგიური პროგრამების მონაცემების გათვალისწინებით რეალობასთან მიახლოებული რაოდენობის ჩაწერა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაში სემესტრის მიხედვით განაწილებულ სასწავლო კურსების ნუსხაში უმეტესწილად დარღვეული იყო მირითადი საგნების განლაგების მთავარი პრინციპი. მაგალითად, მესამე სემესტრში ერთდროულად იკითხებოდა სამი საგანი (წინაპირობის გარეშე): მე-19 და მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურები და "თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი", მაშინ როდესაც პრიველ სემესტრში იკითხებოდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, რომელიც წინაპირობა იყო მეორე სემესტრში შეთავაზებული კურსისა:,, XVI-XVII-საუკუნეების ქართული ლიტერატურა".

ექსპერტთა შეფასებით, ზემოთ დასახელებული 3 საგნის შემთხვევაში აღნიშნული ურთიერთმიმართება იგნორირებული იყო.

ასევე, აკრედიტაციის ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სილაბუსების ნაწილში, ძირითადად შედეგებში, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები გათვალისწინებული იყო ტერმინოლოგის დონეზე, მაგალითად ის, რომ სტუდენტს ჰქონდა სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მას ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას აძლევდა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვაში ეხმარებოდა, რაც ექსპერტთა აზრით იყო ერთგვარი ვალის მოხდა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებისადმი. აქედან გამომდინარე ექსპერტებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ აღნიშნული პროგრამის სილაბუსების ნაწილი ერთგვარად საბაკალავრო დონისას წარმოადგენდა. მათი დაასკვნის საფუძველზე, აუცილებელი იყო სამაგისტრო დონის მაჩვენებელი მოთხოვნები ასახული ყოფილიყო სილაბუსის მიზნებში, შინაარსსა და გამოსაყენებელ ლიტერატურაში.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაში არსებული სილაბუსების შეფასების სისტემა უნდა ყოფილიყო იმდენად მოქნილი, რომ კომპონენტთა ქულებს შორის არსებულიყო ლოგიკური თანაფარდობა, მაგალითად: სილაბუსებში არსებული შეფასების სისტემით,



რეფერატი ფასდებოდა 5 ქულით, ხოლო ფინალური საგამოცდო ერთი საკითხი 10 ქულით. ექსპერტთა აზრით, ასევე დასაზუსტებელი იყო რეფერატის წარდგენის და შეფასების პრინციპიც.

გარდა ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნით, პროგრამაში გაწერილი უნდა ყოფილყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების ოდენობა, რადგან პროგრამაში არსებული კვირაში 6 საათი, ანუ მთლიანად 90 საათი, მათთვის არარეალურ ფაქტს წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ექსპერტების შეფასებების რამდენიმე ნაწილი სრულიად გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და მასში შესწორებებიც შეიტანა. ეს ეხება საკონტაქტო საათების რაოდენობას, სადაც უსდ-ს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა კვირაში 2 საათით განსაზღვრა.

ამასთანავე, ცვლილებები შევიდა რეფერატის წერის ნაწილშიც. უნივერსიტეტის განცხადებით, ორი რეფერატის მაგივრად სტუდენტებს მოეთხოვებოდათ ერთზე მუშაობა და მას წარადგენდნენ საპრეზენტაციოდ. თუმცა, აქვე გამოიკვეთა შენიშვნების ნაწილი, რომელსაც უსდ-ს წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, კერძოდ, შეფასებას ნაშრომის (რეფერატის) შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რადგან მათი აზრით, ეს უკანასკნელი არის თავისუფალი ნაშრომი, სტუდენტი მასზე მუშაობის დროს იღებს კონსულტაციას, აქვს თავისუფალი დრო მოსამზადებლად და სწორედ ამიტომ ფასდებოდა იგი 5 ქულით. რაც შეეხებოდა გამოცდას, მათი განცხადებით, გამოცდის კომპლექსურობიდან და სიმკაცრის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, იგი 10 ქულით ფასდებოდა, რაც მათივე თქმით, სავსებით ნორმალური იყო.

დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ის საკითხები, რომლებშიც ისინი ექსპერტთა შეფასებას არსებითად არ ეთანხმებოდნენ.

პირველი საკითხი ეხებოდა შეფასებას სტუდენტთა კონტიგენტის შესახებ, რომელსაც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრული იყო უნივერსიტეტში ჩატარებული ანალიზის შემდეგ და კონკრეტული კონტიგენტიც სწორედ კვლევის შედეგად დადგინდა.

მეორე საკითხი მოიცავდა, პროგრამის დასაქმების პოტენციალს, რასაც უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრით, ბევრი ფაქტორი უწყობდა ხელს და ბრალდება, იმის შესახებ, რომ პროგრამა არ იძლეოდა არქივებში და საგამოცემლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა დასაქმების კომპეტენციას, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან მოცემული პროგრამა არაფრით განსხვავდებოდა საქართველოს სხვა უმაღლეს დაწესებულებებში არსებული ანალოგიური პროგრამებისგან, რომელთა კურსდამთავრებულებიც სწორედ ასეთ სამსახურებში საქმდებოდნენ და ამ მხრივ პროგრამა ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა.

ამის შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ანალოგიური პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაწყვეტინა დაწესებულების წარმომადგენელს და განუმარტა, რომ კონკრეტული ქმედება წარმოადგენდა იურიდიულ შეცდომას და რომ საკუთარი პრობლემის ახსნის საპირწონედ, საბჭოზე სხვა დაწესებულებების პრობლემების გამოტანა კონკრეტული უსდ-ს ინტერესებში/უფლებებში არ შედიოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიიღო აღნიშნული შენიშვნა და გააგრძელა, რომ ექსპერტთა შეფასება სტანდარტების ნაწილში დადებითი იყო და მათი დასკვნიდან გამომდინარე პროგრამა იძლეოდა სათანადო კომპეტენციას კურსდამთავრებულებს ემუშავათ კვლევით დაწესებულებებში, რეკომენდაციების ნაწილში კი მათ ასახეს, რომ იგივე პროგრამა არ იძლეოდა სათანადო, ზემოთაღნიშნულ კომპეტენციას. უსდ-ს წარმომადგენელმა იკითხა, როგორ შეიძლებოდა ერთი და იგივე ექსპერტი აკეთებდეს ისეთ ანალიზს, როცა ხან იძლეოდა პროგრამა კომპეტენციას და ხან არა.



რაზეც აკრედიტაციის ექსპერტმა უპასუხა, რომ ექსპერტების შეფასებით საბოლოო დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დადებითი, თუ პროგრამაში არსებული ხარვეზები გამოსწორდებოდა და დაწესებულება გაითვალისწინებდა არსებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

გარდა ამისა, შინაარსობრივად, პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრებოდა უსდ-ს მიერ და ყველა უსდ ამას თავად განსაზღვრავდა, თუმცა ექსპერტთა აზრით, დაწესებულებას ნათლად უნდა განესაზღვრა მისაღები სტუდენტთა რაოდენობა, რადგან პროგრამაში ეწერა რაოდენობრივად 30 სტუდენტის მიღების შესახებ და სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები საუბრობდნენ 10 სტუდენტზე.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, მხოლოდ სამსახურებზე იყო თუ არა პროგრამაში ყურადღება გამახვილებული. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა კვლევით საქმიანობასაც ითვალისწინებდა.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში სამაგისტრო საფეხურზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ არ იყო გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩასარიცხ სტუდენტებს ჩაუტარდებოდათ დამატებითი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა და ეს უკანასკნელი გაზომავდა მათ კომპეტენციებსა და შესაძლებლობებს.

სოფიკო ლობჟანიძე დაინტერესდა, სად შეიძლებოდა საგამოცდო საკითხების მოძიება, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხები დაწესებულების საიტზე იყო განთავსებული.

საბჭოს წევრების, ელიზბარ ელიზბარაშვილის და გიორგი ოდოშაშვილის განმარტებით, დაწესებულების საიტზე საკითხების სანახავად საჭირო იყო ავტორიზაცია და პაროლი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემა გამოსწორდება მას შედეგ, რაც პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას, რადგან არააკრედიტირებული პროგრამების საკითხები საიტზე ჯერ არ იყო განთავსებული.

საბჭოს წევრების დაკვირვებით, სისტემა პაროლს არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე მოითხოვდა, არამედ სხვადასხვა საკითხების, მათ შორის აკადემიური კალენდრის და ასევე სხვა პროგრამების საგამოცდო კონცეფციების ჩამოტვირთვაც პრობლემური იყო, რაც ადგილზევე აღინიშნა.

ექსპერტმა განაგრძო საბჭოს წინაშე მოხსენება და აღნიშნა, რომ პრობლემები არსებობდა სილაბუსებშიც, კერძოდ ექსპერტთა შენიშვნით კურსი: „XIX საუკუნის ქართული მწერლობა“-ის სილაბუსი ძალიან ჰგავდა საბაკალავრო საფეხურის სილაბუსს და იგი არ წარმოადგენდა სამაგისტრო სწავლებისთვის შესაფერისს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საკითხების ძირეული და ღრმა შესწავლისთვის ეს კურსიც და მსგავსი სილაბუსიც საკმაოდ რელევანტური იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს მოცემული სილაბუსი წარმოედგინათ.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სილაბუსის მოძიება შესაძლებელი იყო სააკრედიტაციო მასალებში და ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის კურსები უნდა ყოფილიყო დაბალანსებული და სწავლება უნდა წარმართულიყო საფეხურობრივად.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, იყო თუ არა „ვეფხისტყაოსნის ანალიზი“ ასეთი საგანი სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტური. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ცალსახად დადებითი პასუხი გასცა.

გიორგი თურქია მიუბრუნდა რეფერატის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხს და ჰკითხა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს რა რაოდენობით შეიძლებოდა კვლევითი სამუშაოს რეფერატში განთავსება და შეიძლებოდა თუ არა რეფერატის გამოცდის კომპლექსურობასთან გაიგივება, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რეფერატში კვლევის კომპონენტის გათვალისწინება აუცილებელი იყო, მაგრამ გამოცდა თავისი არსით იყო უფრო კომპლექსური.

გიორგი თურქია ასევე გამოეხმაურა რეფერატის წერის დროს გათვალისწინებული თავისუფალი დროის საკითხს და აღნიშნა, რომ თუ რეფერატის სიმარტივე ამ საკითხში მდგომარეობდა, მაშინ არც სამაგისტრო ნაშრომის წერა წარმოადგენდა სირთულეს და მისი შეფასებაც თავისუფლად შეიძლებოდა დაბალი ქულით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტები იცავდნენ, ხოლო რეფერატს არა და სწორედ ამაში მდგომარეობდა საკითხის სირთულე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენად გათვალისწინებული იყო პროგრამაში კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა, იმისათვის, რომ სტუდენტს შესძლებოდა სამაგისტრო ნაშრომის დაწერა და მასში კვლევის კომპონენტზე მუშაობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა ცალკე ითვალისწინებდა კურსს: „კვლევის მეთოდოლოგიის“ შესწავლას.

ირაკვლი ბურდული ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უსდ-ს დასაქმების ბაზარი შესწავლილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები, მაგალითად ტელეკომპანია „იბერიასთან“, სადაც ბევრი ლიტერატურული გადაცემა იყო. საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ მემორანდუმი არ არის იურიდიული აქტი და ის მხოლოდ თანამშრომლობით ხასიათს ატარებს და მისი კითხვა მდგომარეობდა იმაში, ჰქონდა თუ არა უსდ-ს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ მიმართულებით, ბაზარზე პრობლემა იყო მაღალკვალიფიცირებული კადრის, რომ ქართული ლიტერატურა არ იყო მომგებიანი და ცოტა ახალგაზრდა მიისწრაფვოდა მოცემული პროფესიისადმი. მათი განცხადებით, იცოდნენ, რომ ბაზარს სჭირდებოდა კვალიფიციური კადრი.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:05 საათზე სხდომაზე გამოაცხადა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 12

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁷⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ²⁷⁶ მუხლის მე-5 პუნქტის, ²⁸⁸ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.



საბჭოს წევრების აზრით, ექსპერტთა დასკვნასი არსებული რეკომენდაციები და უარყოფითი შეფასებები წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ ხარვეზს, რომელთა გამოუსწორებლობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნება. ამასთან, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გაითვალისწინოს ექსპერტთა უარყოფითი შეფასებები და უგულებელყოს მათ მიერ ბაცემული დადებითი შეფასება და უარი უთხრას პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ 18:20 საათზე დატოვა სხდომა.



2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სპორტის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. ამასთანავე, საბჭოს წევრს დიმიტრი ჯაფარიძეს ჰქონდა თვითაცილება კონკრეტულ საკითხზე, რადგან მას ნაცნობობა და თანამშრომლობა აკავშირებდა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს მათ მიერ დასკვნაში გაწერილი არსებითი ხასიათის შენიშვნები წარმოედგინათ საბჭოსთვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის მეთოდების მკაფიოდ განსაზღვრა, ვინაიდან სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში მითითებული მეთოდები, რომლებიც ექვემდებარებოდა შეფასებას, სასწავლო კურსების სილაბუსებში არ იყო მითითებული.

ასევე, ექსპერტთა შეფასებით, საჭირო იყო შემუშავებულიყო საგანმანათლებლო კომპეტენციისთვის კრედიტების განაწილების მექანიზმი სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის, შინაარსის მოცულობის და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათი აზრით, კონკრეტულ საბაკალავრო პროგრამაში მითითებული ყველა (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის, თავისუფალი) იყო 5 კრედიტიანი.

გარდა ამისა, აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურა მოითხოვდა დახვეწას. კერძოდ, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად აუცილებელია სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო შემდეგი კურსები: ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვა და ა.შ. ასევე, ექსპერტთა დასკვნით,



პროგრამისთვის აუცილებელი იყო ისეთი რაოდენობრივი კურსები, როგორიცაა: კალკულუსი, სტატისტიკა მენეჯერებისთვის და ა.შ.

ასევე, ექსპერტთა შეფასებით, სასურველი იქნებოდა, პროგრამას ჰქონოდა ფინანსური გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნებოდა პროგრამის ფუნქციონირებისა და განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის აქტივობები.

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უსდ-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გამოცდილება ანალოგიური სახის პროგრამის სამაგისტრო საფეხურზე განხორციელების და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს საბაკალავრო საფეხურის შექმნა.

ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, აკრედიტაციის ექსპერტები დაწესებულებას ესტუმრნენ ცენტრში აკრედიტაციის განაცხადის გაკეთებიდან 10 თვის შემდეგ, რაც საკმარისზე მეტი დრო იყო უკვე გაგზავნილ სილაბუსებში არსებული ხარვეზების გამოსწორებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა და ცენტრის თანამშრომლებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ, რატომ მოხდა აკრედიტაციის ვიზიტის დაგვიანებით -10 თვის შემდეგ განხორციელება.

ცენტრის თანამშრომელმა მაია გელაშვილმა განმარტა, რომ ცენტრში განცხადება შევიდა 28 თებერვალს ხოლო დაწესებულებამ აკრედიტაციის საფასური გადაიხადა 27 მარტს. მისივე საუბრიდან გამომდინარე, აკრედიტაციის პროცესი უნდა დასრულებულიყო აკრედიტაციის საფასურის გადახდიდან 180 დღის განმავლობაში. ვიზიტის მოგვიანებით განხორციელება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ცენტრში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაცია, გამოცხადებული იყო ექსპერტთა შესარჩევი კონკურსები. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გარემოებას არ შეეძლო გავლენა მოხედინა იმ ხარვეზების შინაარსზე, რაც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო ასახული. ექსპერტებმა შეფასეს ის პროგრამა, რაც ცენტრში იყო დაწესებულების მიერ ოფიციალურად წარმოდგენილი.

შესაბამისად, საქმის განხილვა მოხდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე და საბჭოც ხელმძღვანელობდა იმ დოკუმენტაციით, რომელიც დაწესებულებამ წარმოუდგინა ცენტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აბსოლუტურად ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა კურსს „სპორტის მენეჯმენტის საფუძვლებ - 1,2,3“ დაშვების წინაპირობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ამაზეც უპასუხა, რომ მოცემული საკითხიც გამოსწორებული იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, კონკრეტული პროგრამა იყო უნიკალური, რადგან მისი ანალოგი არ არსებობდა, ასევე მისი თქმით, პროგრამა შემუშავდა ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით. გარდა ამისა, პროგრამას სრულად ჰქონდა ადამიანური და მატერიალური რესურსი და მზად იყო ფუნქციონირებისთვის.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა პროგრამის გავლის შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ. კერძოდ, საბჭოზე განიხილებოდა სპორტის მენეჯმენტის პროგრამა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირება. გარდა ამისა, მან იკითხა, ხომ არ სცდებოდა პროგრამა მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი დაეყრდნო საერთაშორისო გამოცდილებას.

18:53 საათზე საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:53 საათზე,



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 10

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს ხელთ არსებული დოკუმენტაციისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე პროგრამა შეიცავს ისეთი ხასიათის დარღვევებს, რაც ეჭვეშ აყენებს მის სამომავლო ფუნქციონირებას. საბჭო ურჩევს დაწესებულებას, რომ პროგრამაში მეტი კონცენტრაცია გაკეთდეს ბიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებით.

18:58-ზე საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დატოვა სხდომა.



3. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ დასკვნა მოცემული პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, პროგრამა შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან და არსებითი ხასიათის რეკომენდაციები მათ არ გააჩნდათ.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა შეფასების თანახმად ამ პროგრამის პირველი კომპონენტი ნაწილობრივ იყო შესაბამისობაში სტანდარტებთან, შესაბამისად, მან იკითხა, რატომ გახლდათ ნაწილობრივ შესაბამისობა, თუ რეკომენდაციები არ არსებობდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ყველა სახის რეკომენდაცია გამოსწორებულ იქნა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა ხომ არ ჯობდა, ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, პროგრამაში რუსული ლიტერატურა უფრო თანამედროვეთი ჩანაცვლებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენლის პასუხის თანახმად, კოლუჯში არსებობდა ქართულ-რუსული პროფესიული ლექსიკონი, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტებს რუსული ლიტერატურის დაძლევაში, გარდა ამისა, მათი თქმით, პროგრამაში არსებობდა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები და სტუდენტები მეორე კურსიდან სწავლობდნენ ინგლისურ ენას.

საბჭოს წევრის ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, ინჟინერიის დარგში სწავლებისას მნიშვნელოვანი იყო ლაბორატორიული მეცადინეობები . მისი თქმით, რამდენიმე სილაბუსის გადახედვის შემდეგ მაგალითად „გემის ტექნიკური დათვალიერება და შეკეთება” კურსს აქვს ერთი საათი ლექცია, 1 საათი სემინარი და 1 საათი ლაბორატორია. იგი დაინტერესდა, იყო თუ არა საკმარისი მოცემული 1-საათიანი ლაბორატორია



კონკრეტული კურსისთვის. მან ურჩია უსდ-ს წარმომადგენლებს, ლაბორატორიული მუშაობისთვის გამოყოფილი დრო გაეზარდათ.

საბჭოს წევრის ამ განცხადებას დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობას სხვა სილაბუსებიც ითვალისწინებდა და სტუდენტებს რამდენიმე კურსზე უწევდათ ერთი და იგივე პრაქტიკული საქმის კეთება.

ექსპერტმა დაამატა, რომ პრაქტიკულ სამუშაოებში მოცემული პროგრამა გემის დაშლა-აწყობას არ გულისხმობდა და პრაქტიკა ამ შემთხვევაში მხოლოდ დათვალიერებას გულისხმობდა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე იკითხა, მხოლოდ გემზე საქმდებოდნენ, პროგრამის კურსდამთავრებულები თუ ინდუსტრიის სხვა სფეროშიც შეეძლოთ კარიერის გაგრძელება. დაწესებულების წარმომადგენელმა განცხადა, რომ კურსდამთავრებულები გემის მექანიკოსები იქნებოდნენ და არა მაგალითად ქარხნის მექანიკოსები..

საბჭოს წევრი ირინა გოცირიძე დაინტერესდა, რამდენად მდგრადი იყო აღნიშნული პროგრამა ფინანსურად და რამდენად ჰქონდა პროგრამის პერსონალს გათვლილი დაფინანსების ინდიკატორები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის ფინანსური ინდიკატორი იყო სტუდენტებისგან შემოსული თანხა. მათი განცხადებით ისინი აპირებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო გრანტებში მონაწილეობას და ტექნიკის შესყიდვას. ასევე, მათი განცხადებით დაწესებულება იყო სერტიფიცირების ცენტრის წევრი და ასევე მათი ფინანსური დახმარებით ყიდულობენ სხვადასხვა საჭირო ტექნიკას.

საბჭოს წევრი ირინა გოცირიძე დაინტერესდა რა ეღირებოდა სწავლა აღნიშნულ პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში. დაწესებულების განცხადებით სწავლის იყო 2200 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა ბათუმში მსგავსი პროგრამების განახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი და მათი სასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული ასევე დაინტერესდა, თუ შეისწავლეს შრომის ბაზარი პროგრამის შემუშავების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს სპეციალობა ძალიან იშვიათი და შემოსავლიანი იყო, მისი კურსდამთავრებულები პრაქტიკას გერმანიაში გადიოდნენ და არსებობდა ასევე დასაქმების ცენტრები, რომელთანაც ისინი კონტრაქტებს აფორმებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ 19:35 საათზე სხდომაზე შესვენება გამოაცხადა.
სხდომა განახლდა 19:41 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამი აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის,



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი საკითხების გათვალიწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს, გამოსწორდა თუ არა ის საკითხები, რომლებიც აკრედიტაციის ექსპერტების მიერ ნაწილობრივ შესაბამისობად იყო შეფასებული, ასევე ის საკითხები, რომლებიც ზეპირი მოსმენის დროს იყო განხილული და ასევე ის საკითხები, რომლებიც უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით იყო უკვე გამოსწორებული.



4. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა დაიწყო დასკვნის საბჭოსთვის გაცნობა.

ექსპერტთა დასკვნით საჭირო იყო ცვლილებები VIII სემესტრის საგნის „კონვენციური საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მიმართ. იმის გამო რომ არ მომხდარიყო წინა სემესტრების მოდულებში ნასწავლი საკითხების განმეორება, საკითხები საათების მიხედვით უნდა გაწერილიყო თემის პრაქტიკული გამოყენება. (მაგ. გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები(COLREG-72) I განყოფილების წესების პრაქტიკული გამოყენება). ასევე, საჭირო იყო ელექტრონული რუკა და მისი გამოყენება ისწავლებოდეს 5 კრედიტიან სპეციალურ საგანში, რადგან ამჟამად ელექტრონული რუკის საინფორმაციო სისტემა (ECDIS)-ი დარგის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა.

ექსპერტთა განცხადებით, რეკომენდირებული იყო ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსების გადახედვა და შეფასების ფორმების, მეთოდების, კომპონენტების და

კრიტერიუმების ნაწილების კორექტირება, რათა მომხდარიყო პრაქტიკული/შემეცნებითი უნარების გამოვლენა დარგობრივი მახასიათებლის 1.10 პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველაფერი გამოსწორდა და პროგრამის განხორციელებას ხელს აღარაფერი უშლიდა.

უნივერსიტეტის განცხადებით, ელექტრონული კარტოგრაფია იყო ახალი საგანი და ვინაიდან ქაღალდის რუკები აღარ არის ხმარებაში, მოცემული საკითხიც შეცვლილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პრობლემა კვლავ პირველი საკითხის ნაწილობრივ შესაბამისობაში მდგომარეობდა, რაც აფუჭებდა საერთო სურათს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, კვლავ აღნიშნეს, რომ ყველა საკითხი უკვე იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს, გამოსწორდა თუ არა ის საკითხები, რომლებზეც აკრედიტაციის ექსპერტების შეფასებები და რეკომენდაციები გავრცელდა და რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, გამოსწორებულ იქნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 20:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

გიორგი ოდოშაშვილი